განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიები

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 23.01.2019-24.01.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს. საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმატიკის მაგისტრი 0401
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული. საქათველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	აზა ჭანტურია. კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ონიანი. საქათველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა - "ინფორმაციული ტექნოლოგიები" ახალია და განკუთვნილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით დაინტერესებულ პირთათვის. პროგრამაზე სწავლება განხორციელდება ინგლისურ ენაზე. პროგრამაზე ჩარიცხვა შეეძლებათ უხო ქვეყნის მოქალაქებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით. პროგრამა შედგება 11 ძირითადი და 13 არჩევითი კურსისაგან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს საქართველოს უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 23-24 იანვარს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.01.2019 წლის N29 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა მოხდა 2019 წლის 22 იანვარს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების მესამე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; პირველი და მეოთხე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და მეორე სტანდარტის მიხედვით არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შედგენა წარმოდგენილი პროგრამისთვის
  - შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა, რათა გამარტივდეს სწავლის შედეგების შეფასება.
  - განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსებით ხორციელდება კომპეტენციაზე - „ღირებულებები" გასვლა.
  - პროგრამაზე დაშვება მოხდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისათვის.
  - სასწავლო კურსებში: „Web პლათმორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი", „ქსელური გადამრთველების დაგეგმვა", „დაპროგრამების ინსტრუმენტები მონაცემთა ბაზებისათვის" „ERP სისტემების სტრუქტურა და

ფუნქციონალობა“, „ მარშრუტიზაციის უზრუნველყოფა ქსელებში“, „კრიპტოლოგია“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა

- თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს სწავლების მეთოდებისა და სასწავლო კურსების მოცულობის შესაბამისობა
- უსდ-მ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ინგლისურენოვან პროგრამებში ჩართული პერსონალისათვის ინგლისური ენის ცოდნის კრიტერიუმები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - განახლდეს სასწავლო კურსის “INFO6260 IT პროექტების მართვა -2013წ” სავალდებულო ლიტერატურა
  - საკონსულტაციო საათების დაზუსტება და კონსულტაციების ცხრილის შემუშავება
  - უდს-ს გააჩნია სამეცნიერო ჟურნალი. სასურველია ამ ჟურნალში ჩაემატოს ინფორმატიკის იმართულებაც, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით განვითარებას

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის - „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ მიზანი ეფუძნება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში კვლევისა და განვითარებისათვის. საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსები მოიცავს კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებს (Cisco CCNP სერტიფიკატი), ვებ და ქსელურ პროგრამირებას, მონაცემთა ბაზებს (Oracle სერტიფიკატი), მობილური აპლიკაციების, ERP სისტემებს, საინფორმაციო ტექონოლოგიებში მათემატიკური მეთოდებს. აგრეთვე სხვადასხვა არჩევით კურსები სტუდენტს საშუალებას მისცემს გაიღრმავოს კომუნიკაციის უნარი, შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და საკითხის გადასაჭრელად კვლევაზე დაფუძნებული დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევები, რათა წარმატებით გაუმკლავდნენ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში იმ პრობლემებს, რომლებიც მოითხოვენ პრინციპებისა და პროცესების სიღრმისეული ცოდნას. კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია; • მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის მიზანი; • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შიდა რეგულირებების თანახმად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება რეგულარულად, პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია რომლის მიხედვითაც ხდება პროგრამის რეგულარული შეფასება. გამოიყენება პროგრამის შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს პროგრამის შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას იმაზე, თუ რამდენად

მიაღწიეს გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. პროგრამას გააჩნია 32 სწავლის შედეგი. წარმოდგენილი სასწავლო კურსებით აღნიშნული სწავლის შედეგები ნაწილობრივ მიღწევადია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე პროგრამისთვის არ იყო წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ასევე არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმების რუკა, რომელიც ექსპერტთა მოთხოვნის შემდეგ წაროადგინა უნივერსიტეტმა. ასევე პროგრამაში შემავალი არცერთი კურსი არ გადის კომპეტენციაზე- „ღირებულებები", თუმცა პროგრამაში აღნიშნული შედეგი გაწერილია, ამიტომ გაურკვეველია როგორ და რომელი კომპონენტებით გადის პროგრამა ამ კომპეტენციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ყველა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუების შედეგები;. • სტუდენტების და კურსდამთავრებულთა კითხვარები. • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია • საერთაშორისო აკადემიების სასერთიფიკატო კუსები (Microsoft, Cisco, Mikrotik, Oracle, Apple)
რეკომენდაციები: ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შედგენა წარმოდგენილი პროგრამისთვის ○ შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა, რათა გამარტივდეს სწავლის შედეგების შეფასება. ○ განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსებით ხორციელდება კომპეტენციაზე - „ღირებულებები" გასვლა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის პროგრამაზე დაიშვების წინაპირობაა: „უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის უცხოელმა აბიტურიენტებმა, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი საშუალო განათლება საზღვარგარეთ ან მისი ექვივალენტი, ან/და ზოგადი საშუალო განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში ისწავლეს საზღვარგარეთ, ან სტუდენტები, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ საზღვარგარეთ მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში შეძლებენ პროგრამაში ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე № 224 / ნ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (29 დეკემბერი, 2011) ბრძანების თანახმად. თუ აპლიკანტს არ გააჩნია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი FCE (First Certificate in English), მან უნდა ჩააბაროს ინგლისურ ენის B2 დონის საუნივერსიტეტო გამოცდა (60% დადებითი შეფასება).

წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამას და მასზე უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების პირველის საფეხურის განათლების მქონე სტუდენტების დაშვება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

პროგრამაზე მოხდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის განათლების მქონე სტუდენტების დაშვება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მექანიზმის მიხედვით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ინფორმატიკის მაგისტრი და შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. პროგრამის 120 კრედიტი შედგება პროგრამის ძირითადი საგნებისაგან, მოცულობით 90 კრედიტი (სასწავლო კურსები - 60 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი-30 კრედიტი) და პროგრამის არჩევითი საგნებისაგან, მოცულობით 30 კრედიტი; პროგრამის ძირითად საგნებს არ გააჩნია წინაპირობები, მათი შეთავაზება ხდება სემესტრულად. არჩევითი საგნები კი წარმოადგენს ზოგიერთი ძირითადი საგნის გაგრძელებას და გააჩნია შესაბამისი წინაპირობა. 90 კრედიტის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომზე რეგისტრაციის შესაძლებლობა, რომელიც წარმოადგენს ფინალურ ეტაპს. უსდ უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამა • სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი/სავალდებულო კურსები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამისობაშია გათვალისწინებულ კვალიფიკაციის დონის მოთხოვნებთან. ECTS კრედიტების განაწილება სტანდარტიზებულია. ○ სავალდებულო ლიტერატურა მითითებულია სილაბუსებში. დამატებითი და დამხმარე სასწავლო მასალები მიეწოდებათ ელექტრონულად აკადემიური პერსონალის მიერ. სასწავლო კურსში „INFO6260 IT პროექტების მართვა“ სავალდებულო ლიტერატურა მოძველებულია, კურსის სპეციფიკისა და უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შემავალ კურსების „Web პლათმორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი“, „ქსელური გადამრთველების დაგეგმვა“, „დაპროგრამების ინსტრუმენტები მონაცემთა ბაზებისათვის“ „ERP სისტემების სტრუქტურა და ფუნქციონალობა“, „ მარშრუტიზაციის უზრუნველყოფა ქსელებში“, „კრიპტოლოგია“ - საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში განისაზღვრება ორი საათით. წარმოდგენილი თემების მოცულობა დიდია და დროის წარმოდგენილ პერიოდში მათი შესწავლა მიუღწევადია. ამასთან თითოეულ ამ ჩამოთვლილ კურსებში ყოველ ლექციაზე ხდება განვლილი მასალის შეფასება ქვიზის სახით, რომელიც, როგორც ინტერვიუებით გაირკვა, გრძელდება 15-30 წუთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ თუ მათ არ ყოფნით საათები მასალის ასათვისებლად შეუძლიათ კონსულტაციის რეჟიმში გააგრძელონ პრაქტიკული ან თეორიული მასალის ათვისება, თუ ეს შესაძლებელია სააუდიტორო დატვირთვიდან და სასწავლო კურსის პედაგოგის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

სასწავლო კურსებში: „Web პლათმორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი“, „ქსელური გადამრთველების დაგეგმვა“, „დაპროგრამების ინსტრუმენტები მონაცემთა ბაზებისათვის“ „ERP სისტემების სტრუქტურა და ფუნქციონალობა“, „ მარშრუტიზაციის უზრუნველყოფა ქსელებში“, „კრიპტოლოგია“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

განახლდეს სასწავლო კურსის “INFO6260 IT პროექტების მართვა -2013წ” სავალდებულო ლიტერატურა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის მიზანია მოამზადოს IT მენეჯერი, ვებ ადმინისტრატორი, ქსელის ადმინისტრატორი, მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი, რომელთა დასაქმების სფერო იქნება კვლევითი დაწესებულებები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

სასწავლო კომპონენტებში გათვალისწინებულია კურსებში არსებული პრაქტიკული დატვირთვა, რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამის ფინალური ნაწილია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს კვლევითი კომპონენტებს. სტუდენტი სავალდებულო წესით ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური პერსონალი.

სტუდენტს სწავლის პროცესში აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში, მოამზადოს და დასაფინანსებლად წარადგინონ კვლევითი პროექტები ადგილობრივ და უცხოურ ფონდებში. სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობის უნარის განვითარების მიზნით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მონაწილეობა ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციაში.

სამეცნიერო პროექტების მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერით, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების, ფესტივალების ორგანიზებით უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;

- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
- Startup-Factory
- ინფორმაცია სტუდენტური კონფერენციების, ოლიმპიადების და კიბერუსაფრთხოების ყოველწლიური ფესტივალის შესახებ (www.ug.edu.ge)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

გრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს კურიკულუმის თანამიმდევრულ განხორციელებას, ეხმარება სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში. სასწავლო

პროგრამის კონცეფცია აღწერილია, დამაჯერებელია და ორიენტირებულია პროგრამის მიზნებზე. იგი იძლევა სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების საშუალებას. კერძოდ: • დემონსტრირების მეთოდი; • სიახლეთა გარჩევა; • პრაქტიკული მუშაობა; • პრეზენტაციების წარდგენა; • გუნდური მუშაობა; • ლიტერატურის მიმოხილვა; • წიგნზე მუშაობის მეთოდი; • პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს, თუმცა, შთაბეჭდილება რჩება, რომ უმეტეს სილაბუსებში სწავლების მეთოდები აღწერილია სტანდარტიზებული შაბლონის მიხედვით. საკონტაქტო საათების რაოდენობასთან დაკავშირებით სწავლების მეთოდებისა და სასწავლო კურსების მოცულობის შესაბამისობა შესაძლოა გადაისინჯოს თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
რეკომენდაციები: თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს სწავლების მეთოდებისა და სასწავლო კურსების მოცულობის შესაბამისობა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არსებობს იურიდიულად სავალდებულო რეგულაციები სწავლისა და საგამოცდო პროცესების წარმართვისა, რომლებიც მოიცავენ სილაბუსებში აღწერილ ყველა აუცილებელ წესსა და პროცედურას. შეფასება გამჭვირვალეა და ხორციელდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსსა და სწავლის შედეგებს. შეფასების მეთოდები სამართლიანია, გამოქვეყნებულია და წინასწარაა ცნობილი სტუდენტებისათვის. სტუდენტები იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასებაზე, ნაშრომების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, იღებენ ინფორმაციას თუ რა მოცულობისთვის აქვთ მიღწეული სწავლის შედეგებში. დაწესებულია შეფასებების გასაჩივრების პროცედურები. მიმდინარეობს შეფასების შედეგების ანალიზი და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები;

• თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია				X

და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოირკვა, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესების დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში, ხოლო კონსულტაციებსა და დახმარებას იღებენ უსდ-ში არსებული "ჩემი UG" სისტემის მეშვეობით. უსდ-ს ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში/ღონისძიებებში. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა თქვეს, რომ არა მარტო მონაწილეობას იღებენ არამედ თავადაც ახორციელებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ხოლო დაგეგმილ ღონისძიებაზე და პროექტებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საიტზე ან/და „ჩემი UG" სისტემაში. უსდ-ს სტუდენტები მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში, რის დასადასტურებლად ინტერვიუს დროს უსდ-ში არსებულმა ინფორმატიკის სკოლამ წარმოადგინა გასულ წლებში გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების სია. კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები ან ცხრილი უსდ-ში არ არის, თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა რომ სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში რეგულარულად იღებენ კონსულტაციებს და დახმარებას აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები • თვითშეფასების ანგარიში • სტუდენტური სისტემა „ჩემი UG"

• გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების სია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საკონსულტაციო საათების დაზუსტება და კონსულტაციების ცხრილის შემუშავება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-მ ინტერვიუს დროს წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო ხელმძღვანელთა სია, რომლითაც მტკიცდება, რომ მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ეყოლება კვალიფიციური ხელმძღვანელი. ასევე უსდ-ს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტები, რომელიც რეგულირდება საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობისა და საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებებით. აღნიშნული დებულებების თანახმად არ ვლინდება ხელმძღვანელის მიერ ჩასატარებელი კონსულტაციების სიხშირე და შესაბამისად მათი რაოდენობის

შესაბამისობა პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკაციასთან. თუმცა სტუდენტებთან, კუსდამთავრებულებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ კონსულტაციებს სტუდენტის კვლევით კომპონენტზე მუშაობის პროცესში რეგულარული სახე ექნება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას მაგისტრანტის საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკითხებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო ხელმძღვანელების სია • პირადი საქმეები • საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა • საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალუ რი მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 7 მოწვეული ლექტორი/პროფესიონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია მათი პირადი საქმეებითა და განხორციელებული პროექტებით დასტურდება. პროგრამაში წარმოდგენილია შესაბამისი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ისინი ეწევიან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასებაში არ არის შევსებული გრაფა „სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი“, თუმცა ხელშეკრულებიდან და პროგრამიდან დასტურდება მათი მონაწილეობა პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ ერთი მოწვეული ლექტორის წარმოდგენილი რეზიუმე ძველია და არ ასახავს დღევანდელ მოცემულობას, რომლის მიხედვითაც მისი მონაწილეობა ამ სამაგისტრო პროგრამაში საეჭვოა, რადგან ის გახლავთ თსუ-ს პროფესორი და ხელშეკრულებით ეკრძალება სხვა ინსტიტუციაში ლექციების წაკითხვა. ადმინისტრაციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე აღნიშნული ლექტორი აქტიურად მონაწილეობდა და მას არ განუცხადებია უარი პროგრამაში მონაწილეობაზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება პროგრამაში ჩართული პერსონალის შერჩევისას ინგლისური ენის ცოდნის კრიტერიუმი. გასაუბრებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ თუ ინსტიტუცია დოკუმენტაციით ვერ ადგენს პერსონალის ინგლისურის

ცოდნას, მაშინ პერსონალი ვალდებულია ჩაატაროს დემო ლექცია, ასევე მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეხმარება მათ თანამშრომლებს ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაში სპეციალური ტრეინინგების საშუალებით.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის სტრუქტურა დაკომპლექტებულია ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალით. პედაგოგებს და სტუდენტებს დახმარებას უწევს ადმინისტრაცია სასწავლო პროგრამის ორგანიზების საკითხებში. ადმინისტრაციული პერსონალი საკმარისი რაოდენობითაა. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს. სკოლის უშუალო ხელმძღვანელია დეკანი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ზოგად სტრატეგიულ განვითარებასა და მართვაზე უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით. დეკანთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად სკოლის აკადემიური საბჭო ჩართულია პროგრამების განვითარებაში, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში, ლექტორების მოძიებასა და გასაუბრებაში, აკადემიურ პროცესში მიმდინარე პრობლემებისა და მიღწევების განხილვასა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღებაში. პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია გამართული პროგრამის ადმინიტრაციული ფუნქციონირებისთვის; სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს სწავლების ხარისხის კონტროლს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

უსდ-მ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ინგლისურენოვან პროგრამებში ჩართული პერსონალისათვის ინგლისური ენის ცოდნის კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე, ხელს უწყობს მათ ჩართულობას სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევითი პროექტებში და განხორციელებას. საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, რომელსაც ახორციელებს ყოველწლიური

ანგარიშგების ფორმით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ადამიანური რესურსების სამსახურთან ერთად ყოველი წლის დასასრულს ევალება, შეკრიბოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ და მის საფუძველზე დაგეგმოს მომავალი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უდს-ს გააჩნია სამეცნიერო ჟურნალი. სასურველია ამ ჟურნალში ჩაემატოს ინფორმატიკის მიმართულებაც, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით განვითარებას

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

8 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ლიტერატურისა და ჟურნალების, ისევე, როგორც ციფრული მედიის (მაგ. ელექტრონული მედია, მონაცემთა ბაზები, როგორიცაა Scopus; JSTOR; Web of Science და სხვა) ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. უშუალოდ სასწავლო პროგრამისათვის აუცილებელი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და თანამედროვეა. ბიბლიოთეკის რესურსები ხარისხობრივად და რაოდენობრივად, სტუდენტთა ხელმისაწვდომობა სპეციალურ ლიტერატურასთან, მათ შორის ონლაინ წვდომა, შეესაბამება სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს. ბიბლიოთეკის სამუშაო საათები მნიშვნელოვნად ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების თაობაზე და იციან თუ როგორ მოიხმარონ ისინი. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკიდან მატერიალური რესურსების გატანა შეზღუდულია; შესაბამისად ბიბლიოთეკას გააჩნია სტუდენტებისათვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი სამუშაო სივრცე. ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის გამოყოფილია საკმარისი რაოდენობის ლაბორატორიები, რომლებიც შეესაბამება პროგრამისთვის საჭირო სტანდარტებს. კომპიუტერები აღჭურვილია საჭირო სამომხმარებლო პროგრამებით. საკლასო ოთახების რაოდენობა, ხარისხი, მედია და IT სიმძლავრეები შეესაბამება პროგრამისათვის საჭირო სტანდარტებს, სხვა პროგრამებისათვის საჭირო რესურსების გათვალისწინებითაც კი. ინტერნეტთან წვდომა ლეპტოპებით უკაბელო LAN-ის მეშვეობით უფასოა. შენობაში ოთახების საკმაო რაოდენობაა ჯგუფებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები და აღჭურვილობა
- ბიბლიოთეკარებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება იგეგმება თვითდაფინანსების ხარჯზე, რაც განხორციელდება სწავლების გადასახადის მეშვეობით. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება. დაბალანსების შემდეგ პროგრამის ბიუჯეტი წარედგინება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელთანაც ხდება მისი საბოლოო შეთანხმება. ბიუჯეტში შედის ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხარჯი, პროგრამის ადმინისტრაციის ხელფასები, ლექტორთა ჰონორარები, სტუდენტური პროექტებისა და აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხა, ბიბლიოთეკა, საკანცელარიო საქონელი და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიუჯეტი ○ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, ბიბლიოთეკარებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ამ ეტაპზე პროგრამის შიდა შეფასება ვერ მოხდებოდა იმ მიზეზის გამო, რომ პროგრამა პირველადაა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის დაგეგმვისა და განსახორციელებლად მზადების ეტაპი კარგად გააზრებული და დაგეგმილია.
- უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც სწავლის შედეგებისა და პროგრამის წარმატების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება თანმიმდევრული და პერიოდული შეფასება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. კერძოდ: სტუდენტთა შეფასებების ანალიზი და შედარება პროგრამის შედეგების მიღწევასთან; სასწავლო კურსის კურატორების დასკვნები; სტუდენტების გამოკითხვა და მათი კმაყოფილების კვლევა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევა თვისებრივი და რაოდენობრივი ტექნიკების გამოყენებით - რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიერ აღქმული გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, როგორც სწავლების მეთოდების, ლიტერატურის, ისე შესაბამისი კომპეტენციების მუდმივი განახლების მიზნით. აღნიშნული კვლევა ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ

როგორც მასალის გაცნობიდან, და განსაკუთრებით ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, პროგრამის შემუშავებას წინ უძღოდა პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მრავალი საკონსულტაციო შეხვედრა. ასევე გამოიკვეთა პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და სწავლის შედეგების განსაზღვრაში. ვიზიტის მომენტისთვის სტუდენტთა შეფასებების ანალიზი ვერ განხორციელდებოდა, რადგან სტუდენტი პროგრამაზე არ არის. მაგრამ, ნიმუშების სახით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავებული შეფასების კითხვარები. პროგრამის თვითშეფასების

ანგარიშზე მომუშავე პირთა ჩამონათვალი სრულიად ითვალისწინებს პროგრამაში ჩართული ყველა სუბიექტის მონაწილეობას ამ პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიშის ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები ○ პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ხარიხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებად გამოიყენება: ○ უნივერსიტეტში ხარიხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებად გამოიყენება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები და შედეგები ფორმდება ○ ასევე პერიოდულად ხორციელდება ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი - პროგრამის გაუმჯობესების და განახლების მიზნით 3 წელიწადში ერთხელ ხდება ანალოგიური პროგრამების გადახედვა და კონკურენტუნარიანი უნივერსიტეტების პროგრამებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არსებული პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაც. აღნიშნული პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამები. აღნიშნული პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამები. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა მოდიფიცირდება/ადაპტირდება შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, რადგან პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა ტარდება რეგულარულად და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი შეფასებას უკეთებს კურსებს რეგულარულად, კურსის დასრულებისას. ○ პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია მოიცავს როგორც სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების კვლევას. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია

○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				X
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანი არაბული

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მიხეილ რუხაია

აზა ჭანტურია

სალომე ონიანი